## სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

№ 01-04/50 2021 6.07

უნივერსიტეტის რექტორის 2021 წლის 10 ივნისის №01-04/46 ბრძანებაში - სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში საგაზაფხულო სემესტრში ბაკალავრიატის, ერთსაფეხურიან (ქართულ და ინგლისურ ენოვანი), მაგისტრატურის, დოქტორანტურის და დამატებით (minor) საგანმანათლებლო პროგრამებზე დასკვნითი საგამოცდო პროცესის დისტანციური, ცენტრალიზებული წესით, ორგანიზებულად წარმართვის მიზნით - ცვლილებების შეტანის შესახებ, ვბრძანებ:

1. იმერეთის რეგიონში კოვიდინფიცირებულთა რიცხოვნობის მატების და სტუდენტთა მომართვის გათვალისწინებით, შეტანილ იქნას ნაწილობრივი ცვლილება უნივერსიტეტის რექტორის 2021 წლის 10 ივნისის №01-04/46 ბრძანების, მე-3 მუხლში და ამ ბრძანების მე-3 მუხლის „დ" პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით:
დ. დასკვნითი გამოცდები, ბიზნესის, სამართლისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტებისთვის 2021 წლის 5 ივლისიდან ჩატარდეს საუნივერსიტეტო სივრცეში On - Line (ონ-ლაინ), Microsoft Teams-ის და მუდლის ელექტრონული პორტალების გამოყენებით.

2.კანცელარიის უფროსმა (ე. ცირეკიძემ) უზრუნველყოს ბრძანების შესაბამის სტრუქტურებში დაგზავნა.

3.უნივერსიტეტის მარკეტინგის, პროექტებისა და ღონისძიებების მართვის სამსახურმა (ასოც. პროფ. თ. ვალიშვილი) უზრუნველყოს ბრძანების უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე განთავსება.

4. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე უზრუნველყოს რექტორის მოადგილემ ასოც. პროფ. შალვა კირთაძემ.

საფუძველი: ბიზნესის, სამართლისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის მოხსენებითი ბარათი (#670304), ფაკულტეტის საბჭოს 2021 წლის 5 ივნისის # 5 დადგენილება (ოქმი #19), ამონაწერი ფაკულტეტის საბჭოს 2021 წლის 5 ივნისის სხდომის ოქმიდან (#19), სტუდენტთა განცხადება.

რექტორი პროფ. რ. კოპალიანი

სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსი იმერი ბასილაძე